საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

კვირა, 31 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 82 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 82

«სიტყვები: «მუშებს სამშობლო არა აქვთ» იმ ბურჟუაზიულ იდეოლოგების საპასუხოთ არის დაწერილი, რომლებიც კომუნისტებს ბრალსა სდებდენ, „სამშობლოს მოსპობა» გწადიათო. მაშასადამე, ცხადია, რომ აქ «სამშობლო» სრულიათ განსაზღვრული აზრით არის აღებული, სახელდობრ იმ აზრით, რომლითაც ამ სიტყვას ბურჟუაზიული იდეოლოგები ხმარობდენ. მანიფესტმა განაცხადა, მუშებს ასეთი სამშობლო არა აქვთო. იმ დროს ეს სამართლიანი იყო. ეს სამართლიანია დღესაც, როცა მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატი ცოტათ თუ ბევრათ ფართო, ცოტათ თუ ბევრათ მკვიდრ პოლიტიკურ უფლებებით სარგებლობს. ეს სამართლიანი იქნება შემდეგშიაც, რაც უნდა დიდი პოლიტიკური უფლებები მოიპოვოს მუშათა კლასმა თავის ბრძოლით».

გ. პლეხანოვი: „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“. (გვერ. 5).

## გამოსავალი გზა.

უსურსათობა, უბინობა, უფულობა, —აი რა აკნესებს დღეს ხალხის ფართო მასას, აი რაზე ლაპარაკობს ერთხმათ დიდი და პატარა.

აფთიაქებში მომუშავეთა მოთხოვნილება ამ აუტანელი მდგომარეობის აშკარა გამომხატველია. ისინი მოითხოვენ პურის და შაქრის რაციონის გადიდებას, პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდებას და სანამ ეს არ მოწყობილა, ჯამაგირის ათი ათასი მანეთით გადიდებას. თუ ეს მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდა, ისინი მშვიდობიან გაფიცვას მიმართავენ.

ვინ იტყვის, რომ ფარმაცევტთა ეს მოთხოვნილება სრულიათ ბუნებრივი, კანონიერი და თან აუცილებელიც არ იყოს? მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიხილავთ ამ კერძო შემთხვევას თავისთავათ, მოგვყავს იგი მხოლოთ საერთო მდგომარეობის საილიუსტრაციოთ და კითხვა გვებადება: გააუმჯობესებს კი ასეთი და მსგავსი ზომები მუშათა მდგომარეობას?

ეს მდგომარეობა მეტისმეტათ კრიტიკულია. მუშის მოთხოვნილებები მინიმუმამდეა დაყვანილი. ის არ არის უზრუნველყოფილი ისეთი აუცილებელი საგნებით, როგორიც არის შეშა, ბინა, შაქარი; აღარას ვამბობთ ტანთსაცმელზე, ხორცზე და სხვა სანოვაგეზე, რომლის არქონებას და ნაკლებობას დიდი ხანია შეეჩვია ჩვენი მუშა. ის უზრუნველყოფილია მხოლოთ ერთი გირვანქა უვარგისი პურით და შექმნილ პირობებში, ყოველივე ნაკლებობის დროს, მას არ ყოფნის ეს პური, რომ სანახევროთ მაინც მოატყუოს დიდი ხნის მშიერი კუჭი. რას უზამს მას ასეთ პირობებში თუნდაც ისეთი დიდი ჯამი, როგორიც არის ათი-ათასი მანეთი? მუშას კი დღეს მხოლოდ ეს ზომა დარჩენია და მასაც იგი დიდი მოთმინესა და გაჭირვების შემდეგ მიმართავს.

დგება ისეთი მომენტი, როდესაც შექმნილი მდგომარეობა აღარა გავს ალარავითარ წინათ ცნობილ მდგომარეობას. აქედან გამოსავალი მხოლოთ ორნაირი შეიძლება იყოს: ან ფიზიკური ამოწყვეტა, ან არაჩვეულებრივი ზომებით მისგან თავის დახწევა.

პირველი შესაძლებლობა ერთბაშათ არ მოხდება, ის თანდათანურ დაუძლურებას და გადაგვარებას დაამბოლოვებს მხოლოთ. მაგრამ როდესაც მმართველი წრეები ამ პროცესს წარბ-შეუხრელათ უყურებენ და რეფორმების ძებნით ირთობენ თავს, ისინი შესაძლოა სულ მალე დადგენ იმ ფაქტის წინაშე, რომ ილაჯგამოლეული ჩვენი მუშა-ძალა გაჩერდეს და გაირინდოს იმ მუშა-ცხენივით, რომელიც დიდი ხნის უჭმელი, ხანგრძლივ მგზავრობის დროს შუა გზაზე ჯიუტათ ჩერდება, აღარც წინ მიდის და აღარც უკან მაშინაც კი, როდესაც მას საჭმელს მოუტანენ. აი ასეთი კრახი სულ ადვილი შესაძლოა იმ პოლიტიკური კურსის დროს, რომელიც ჩვენშია გამეფებული, თუ, რასაკვირველია, დავუშვებთ, რომ თვით ეს პოლიტიკა უფრო ადრე არ განიავდება დაუნდობელ ცხოვრების მიერ, ვიდრე ის შესძლებდეს გაანიავოს ჩვენი ქვეყნის ყოველგვარი საწარმოვო ძალები.

მეორე შესაძლებლობა—ეს რევოლიუციის გზაა. თუმცა, მმართველი პარტია ირწმუნება, რომ ის არ უარყოფს ამ გზასაც, მაგრამ ცხადია, რომ მისთვის ამ გზაზე გამოსვლა ისევე შეუძლებელია, როგორც დაბადებით ბრმისთვის რძის ფერის დანახვა.

მდგომარეობა მეტათ მძიმეა და იქიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოთ არაჩვეულებრივი ზომებით.

## გვიპასუხეთ.

„საქართველოს კომუნისტებმა უკანასკნელ ხანებში მიატოვეს პირდაპირ შეიარაღებულ აჯანყებების და შეიარაღებული ძალებით შემოჭრის მეთოდი და ყურადღება მიაპყრეს საქართველოს რესპუბლიკის შინაურს საქმეებს. მათი პრესა მხურვალე მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის მწვავე საკითხების გარჩევაში“ და სხ... ასე იწყება გუშინდელი „ერთობის“ მეთაური წერილი, რომელშიაც მმართველ პარტიის ცენტრალური ორგანო აკრიტიკებს ჩვენი პარტიის ორივე გაზეთში გაშუქებულ გზას და მეთოდს ქვეყნის ხსნისას იმ უფსკრულიდან, რომელშიაც ის ჩააგდო ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისმა, ამას სწერს ის გაზეთი, რომელიც მეხუთე თვეა ეფიცება თავის მკითხველებს, რომ კომუნისტები დღე და ღამ შეიარაღებულ აჯანყების მზადებაში არიან, იძენენ იარაღის საწყობებს, იმუშავებენ გამოსვლის გეგმებს, ნიშნავენ იარაღის ამუშავების დღეს და საათს. ამას სწერს ის გაზეთი, რომელიც გამუდმებით ირწმუნება, რომ „აუარებელი საბუთები“ გვაქვს კომუნისტების ასეთი ფარული მოქმედება-მზადების დამამტკიცებელიო, ხოლო ჩვენებით კი არც ერთი საბუთი არ უჩვენებია თავის მკითხველებისათვის მაშინაც კი, როდესაც 200 კომუნისტმა ციხეებში შიმშილობას მიმართეს, რათა ამ საშინელი მსხვერპლით მაინც გაეხსნათ კრიჭა „ერთობის“ პარტიისა და მისი მთავრობისათვის და ერთი საბუთი მაინც ეხილათ საბრალმდებლო ოქმის სახით. „ერთობის“ ხალხმა თავისი ცრუ-ფიცი აშკარა ძალადობით დაამბოლოვეს და ადმინისტრატიული წესით ერთი წლით გადურაზეს ციხის საკანის კარი ჩვენს ამხანაგებს.

ვიცით „ერთობის“ რედაქციის შენობა მხოლოდ გარედანაა წითლად შეღებილი, ვიცით სირცხვილის სიწითლე შიგ შენობაში ძნელათ შეანათებს და მით უმეტეს ვერ დაისადგურებს, მაგრამ მაინც ვეკითხებით სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს: როგორ შეუფარდოთ თქვენი მოწინავე წერილის განცხადება თქვენს მუდმივ ფიცს კომუნისტების ჯოჯოხეთურ გეგმების გამო, და იმ გარემოებას, რომ მრავლის უმრავლესი კომუნისტები გაძევებულია ეტაპით საქართველოს საზღვრებიდან, ხოლო მრავალი ციხეებშია ჩაყრილი ერთი წლით?

## ადგილობრივი პრესა.

### მენშევიკები—რეფორმისტები

რევოლიუცია ძალდატანებითი გარდაქმნაა მთელი არსებული წყობილებისა. რეფორმა კი რომელიმე გაუმჯობესებას გამოგლეჯაა არსებულ წყობილებიდან მისი ძირის ხელშეუხლებლათ. რევოლიუციონურ ბომბებს ანხორციელებს რევოლიუციონური კლასი და მისი შექმნილი ახალი მთავრობა, რეფორმებს ანხორციელებს მისი დამთმობი ძველი მთავრობა. რევოლიუციონური პარტია მუდამ მოქმედი პარტიაა: რევოლიუციონური სიტუაციის დროს ის უარყოფს რეფორმისტულ გზას და მთელი ძალღონით ცდილობს რევოლიუციის გამორკვევას; როდესაც ასეთი სიტუაცია არ არის, ის იბრძვის რეფორმებისათვის, რომლებსაც იყენებს იმავე რევოლიუციის დასაჩქარებლათ. პროლეტარიატი ვერ იქნება რეფორმისტი, ის რევოლიუციონურ კლასია. ბურჟუაზია ვერ გახდება რევოლიუციონერი, ის უკეთეს შემთხვევაში რეფორმისტია, რადგან იგი კონსერვატორიული და ხშირათ რეაქციონური კლასია. ახლა ვნახოთ, ვინ არიან მენშევიკები. „ერთობა“ სწერს:

„კომუნისტების პრესა სიმართლეს არ სცილდება, როდესაც აღიარებს, რომ სოც.-დემ. ორგანიზაციების თათბირი შეურყეველათ დგას რეფორმების ნიადაგზე. ის ხაზი, რომელსაც „მენშევიკური“ ეწოდება, თავის დღეში არ უარყოფდა რეფორმების მეთოდს, საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათან გაუმჯობესებას, ნაწილობრივი ცვლილებების შეტანას“.

გამოდის, რომ მენშევიკები წმინდა წყლის რეფორმისტებია‘ ამას ამტკიცებდა კომუნისტური პრესა, ამასვე ადასტურებს მენშევიკური პრესაც — „შეურყევლათ“ ვდგევართ რეფორმების ნიადაგზე. მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს დებულება დღეიდან მაინც უდავოთ იქნება ჩვენ შორის ცნობილი. არა, „ერთობა“ აქვე უარყოფს ამ ერთად-ერთ მართალ აზრს, რომელიც მას თავის თავზე წამოსცდა:

„მენშევიზმი რევოლიუციონურ მეთოდს კი არ უარყოფს, იგი უარყოფს მხოლოთ დროს შეუფერებელს და მიზან შეუგნებელ რევოლიუციურ ავანტიურიზმს“.

თანამედროვე მომენტი ყველას მიაჩნია უარესათ რევოლიუციონურ მომენტათ მთელ მსოფლიოს მასშტაბში. მენშევიკებს კი დროს შეუფერებლათ მიაჩნიათ ახლა რევოლიუციონური მეთოდით მოქმედება. მაშ რაღა დღისთვის ინახავენ მას, თუ ისინი მართლა რევოლიუციონერები არიან? ალბათ საიქიოსთვის სააქაოს კი უკვე მოხდენილია რევოლიუცია, რომელიც დროულიც იყო და მეშევიკების სასახელოც. „სახელოვანი რევოლიუცია“—ამბობენ თებერვალ-მარტის რევოლიუციაზე კადეტები, ამასვე იმეორებენ მენშევიკები მხოლოთ უზომო თავის ნებით და ტრაბახით:

„ჩვენ მოვახდინეთ რევოლიუცია ფეოდალური საკუთრების და ფეოდალური სახელმწიფოს გასანადგურებლათ, ეს რევოლიუცია იყო დროული და ამ გადატრიალებაში ჩვენ შევიტანეთ ბევრათ უფრო მეტი ენერგია და მივვიძღვის ბევრათ უფრო მეტი დახმარება, ვიდრე კომუნისტურ პარტიას“.

ცოტა კიდევ და მათ მიერ ფაქტიურათ უარყოფილ პროლეტარიატის დიქტატურას ფორმალურათაც უარყოფენ „ერთობელები“. აი მოვუსმინოთ:

„ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი საზოგადოება და სახელმწიფო, რომელშიაც გაბატონებული იქნება მთელი ხალხი, მისი უმრავლესობა, დემოკრატია. ჩვენ დავამხეთ დიქტატურა ერთი მუჭა უმცირესობისა ხალხის დიდ უმრავლესობაზე და დღეს აღარ გვინდა უმცირესობის დიქტატურაზედვე ავაშენოთ ახალი საზოგადოება, თუნდაც ამას უწოდონ „დიქტატურა პროლეტარიატისა“.

ტყუილათ ბოდიშობთ პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფას მით, რომ ის უმცირესობის დიქტატურა არისო. ამოშალეთ ეს ცნება თქვენი პროგრამიდან, ვინაიდან ის სრულიათ უადგილოა იქ. დაგვიჯერეთ, რომ თქვენ რეფორმისტები ხართ, წმინდა წყლის რეფორმისტები.

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

### სოციალიზმის ნამცეცი.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოფელი ძლიერ ჩამორჩა სამრეწველო ქალაქს, როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ. სოფელი ცდილობდა გასწორებოდა ქალაქს წმინდა კაპიტალისტური საშუალებებით იმისთვის, რომ მოესპო წვრილი მეურნეობა და ამგვარათ გაეფართოებია ნაყოფიერი მსხვილი მეურნეობის ტერიტორია, —კაპიტალიზმს სხვა საშუალება არ ქონდა, თუ არა წვრილ მესაკუთრეთა ვალების ქსელში გახლართვა, მათი გაღატაკება, გაქყლეტა, როდესაც ის (წვრილი მესაკუთრე) იძულებული იქნებოდა თავისი მიწა მიეყიდა უფრო ძლიერ მოქიშპესათვის. კულტურის დარგში სოფელს წამოუგდებდენ ქალაქის ცივილიზაციის ნამცეცებს. სოფლისთვის იყო მხოლოდ ცუდი შკოლა, უფრო ცუდ ნიადაგზე დაყენებული საექიმო დახმარება, დამახინჯებული სახალხო გასართობები და სარწმუნოებრივი ოპიუმი, რომლისგანაც თანდათან თავისუფლდებოდა ქალაქი. სოფლის საუკეთესო კულტურული ძალები ქალაქებში გარბოდენ. რომლებიც კი ბრუნდებოდენ ქალაქებიდან, როგორც მაგალითად, სამსახურის დრო დასრულებული ბურჟუაზიული არმიების ჯარის კაცები—მათ სულ სხვაგვარი ცივილიზაციის ნაყოფი მოქონდათ სოფლათ. მაგალითად: ყაზარმული მოუხეშაობა, ქეიფისა, და დროს ტარებისადმი ლტოლვა, ვენერიული ავათმყოფებები.

პროლეტარიატის დიქტატურა ძირითადათ სცვლის ქალაქის დამოკიდებულებას სოფლისადმი. სოფელი კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ხანაშიც თანდათან უკან რჩება ქალაქს. მაგრამ სოფლის კულტურულათ ამაღლება სოციალიზმის დროს სულ სხვაგვარი საშუალებებით ხდება, ვიდრე ეს ხდებოდა კაპიტალისტურ ხანაში. წვრილი მეურნეობის უვარყოფითი მხარეების ლიკვიდაციისათვის გლეხი არ არის იძულებული ძალაუნებურათ, თავისი სურვილების წინააღმდეგ, თვალცრემლიანი და ტანჯვით გამოეთხოვოს თვით მეურნეობას. მას (გლეხს) გზა აქვს გახსნილი, რომ თავისი ნებით შეკავშირდეს კომუნებში, ანდა თავის სოფლელებთან არტელებში, რომლებსაც დიდ დახმარებას უწევს სოციალისტური მთავრობა. რაც შეეხება სოფლის კულტურულად ამაღლებას, ამ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობის დროს ამ საქმეს უდგიან სათავეში არა უსაქმობით თავმობეზრებული ფილანტროპ ქალბატონთა ჯგუფი, როგორც ეს ჩვენში იყო რევოლიუციამდის, არამედ ამ საქმეს განაგებს მთლიანათ მთელი სახელმწიფო, მთელი თავისი ძლიერი სახელმწიფო აპარატით. ამ მუშაობისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დროს თავს იჩენენ ათასი საშუალებები. ერთ ამ საშუალება—შესაძლებლობათაგანია—„გლეხთა კვირა“, რომელიც მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ შეიქნა შესაძლებელი. ჩვენ მთელი რიგი სხვა და სხვა ადგილებიდან მოგვდის ცნობები იმის შესახებ, რომ „გლეხთა კვირა“ გამოყენებულ იქნა სოფლათ არა მარტო სასოფლო-სამეურნეო დახმარებისათვის, არამედ შკოლების და საავათმყოფო შენობების შესაკეთებლათ და შენობის დასამთავრებლათ. აგრეთვე „გლეხთა კვირეებში“ გახსნილ იქნა სოფლათ ბავშთა თავშესაფარები, მოწყობილ იქნა ბავშთა ბაღებიკინემატოგრაფები და სხვა. და ეს მხოლოდ საქმის დაწყებაა. მაგრამ ამ ცოტაშიც, ღარიბ და გაუბედავ საქმის დასაწყისშიც სჩანს ის დიდი რევოლიუცია, რომელიც ხდება სოფლისა და ქალაქის დამოკიდებულებაში სოციალიზმის დროს, ამდენ ხანს ქალაქი სოფლისათვის უმთავრესათ იყო ის უზარმაზარი ობობა, რომელიც სწოვს მის (სოფლის) სისხლს და რომელიც სწამლავს ამ სისხლს თავისი კულტურის“ გარყვნილებებით. და რომელიც (ქალაქი) ავსებს გლეხთა გონებას ბურჟუაზიულ-პომეშჩიკურ იდეოლოგიის ნაყარ-ნუყარით.

რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატი ძლიერი ორთქლმავალივით მიეზიდება სოფლის მძიმე „მატარებელს“. შემდეგ კი, როდესაც პროლეტარიატი საბოლოოთ გაიმარჯვებს შრომის ფრონტზე, მაშინ გლეხთა „მატარებლის„ უკანასკნელი „ვაგონი“ ლოკომოტივის სისწრაფით გაექანება კომუნიზმის გზით კომუნიზმისაკენ. ე. პ.

გაზ. „პრავდა“ № 180.

## უცხოეთის პრესა.

„C. G. T.-ს*) კომუნისტური ელემენტები ემზადებიან ბრძოლისათვის, რომელიც მათ განზრახული აქვთ აწარმოვონ ორლეანის კონფედერალურ კონგრესზე უმრავლესობის წინააღმდეგ, თანახმათ მოსკოვის ინტერნაციონალის მიერ მათთვის მიცემული ინსტრუქციებისა. ჯერ გაზ. „მუშის ცხოვრებისა“ და შემდეგ ბ.ბ. კაშენისა და ფროსარისაგან, რომლებმაც ახლოხან განაცხადეს ეს ერთ ინტერვიუში, ჩვენ ვიცით მართლაც, რომ კომუნისტური პარტიის მომხრეებს დაევალათ შეკავშირდნენ სოციალისტებთან შეთანხმებით და „ებრძოლონ C. G. T.-ს დღევანდელ ხელმძღვანელებს“.

ცხადია, რომ სინდიკალისტები, რომლებიც თანახმა არიან მოსკოვის „საერთო

*) დასაწყისი ასოები სახელწოდების („La Confédération Générale du Travail“—შრომის საყოველთაო კონფედერაცია), რომელსაც ატარებენ პროფესიონალური კავშირების საერთო ცენტრი საფრანგეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიური.

— ყირიმის ფრონტზე წითლებმა აიღო ქ. ბერდიანსკი, პოლოგი და კონსკიე რაზდორი, ქ. ალეშკი და ნოგაისკი. ხელთ იგდეს 3 ზარბაზანი, 44 ტყვიისმფრქვეველი, 1,100 ტყვე და სხვა.

— არსენალი ვენეციაში ისევ მუშების ხელშია.

— უმუშევრობა ინგლისში კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს. გაფიცვებს სათავეში უდგანან რევოლიუციონური ბელადები.

— ბოლგარეთის კომუნისტურ პარტიაში მუშები ჯგუფ-ჯგუფობით ეწერებიან.

ხელმძღვანელობას დაემორჩილონ" და „მონაწილეობა მიიღონ სხვა ორგანიზაციების ზედამხედველობაში", უნდა შეკავშირდენ ავტონომიურ წრეებათ. სწორეთ ამ წრეების შესადგენათ და მათი დამოკიდებულების გასარკვევათ სინდიკატებისა C. G. T—ს მიმართ, მეუმცირესეთა სინდიკატების კომიტეტმა მოაწყო მთელი რიგი რაიონულ კონგრესებისა.

ერთი ასეთი კონგრესთაგანი უკვე შეიკრიბა მარსელში აგვისტოს ბოლო რიცხვებში. პარიზის მხარის კონგრესს კი ადგილი ჰქონდა გუშინ ბრეტონის ქუჩაზე. მან შეკრიბა მხოლოთ 37 სინდიკატის წარმომადგენელნი. კამათის გახსნამდი დამსწრეებმა მიმართეს „მათი ღრმა პატივისცემის აღვნიშვნით რუს ამხანაგებს, რომლებიც ანხორციელებენ პროლეტარულ რევოლიუციას".

რამოდენიმე წინადადება იყო წარმოდგენილი სინდიკატების ორიენტაციის შესახებ. ის, რომელიც მიიღეს წარმოდგენილი იყო პარიზის—მარჯვენა მხარის რკინისგზელების კავშირისაგან... რომელმაც უკანასკნელი გაფიცვის გამო დაჰკარგა თავის მომხრეების დიდი უმრავლესობა. პირველი ნაწილი ამ გრძელი რეზოლიუციისა შეიცავს კონფედერაციის კრიტიკას ლიონის კონგრესის შემდეგ.

მეორე ნაწილში ის გამოსთქვამს ცხოველ სურვილს, რომ ორლეანის კონფედერალურმა კონგრესმა გადასწყვიტოს შეერთება „რევოლიუციონურ სინდიკალურ ინტერნაციონალთან მოსკოვში" და შემდეგნაირათ მოითხოვს სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობას:

„ჩვენ შორსა ვართ სურვილისაგან დავარღვიოთ ამიენის ხარტია, **) როდესაც ვუერთდებით მოსკოვის სინდიკალურ ინტერნაციონალს და ვაცხადებთ, რომ ეს არის C. G. T—ს ყველაზე უფრო დიადი მოვალეობა. ის უნდა წავიდეს დღეს მოსკოვში, როგორც უნდა წასულიყო ციმმერვალდში.

არსებობს მხოლოთ ერთი რევოლიუციონური ინტერნაციონალი, მესამე, მოსკოვის. C. G. T., რომელსაც უბრუნდება რევოლიუციონური სულისკვეთება, უნდა შეუერთდეს მას და განაცხადოს თანხმობა ითანამშრომლოს რევოლიუციონურათ მომქმედ პოლიტიკურ ორგანიზმთან.

იღებენ რა მხედველობაში, რომ დადგა მომენტი, როდესაც უნდა მოხდეს არჩევანი ამსტერდამსა და მოსკოვს შორის, მეუმცირესეთა სინდიკატები ადგენენ, თუ C. G. T. ყოყმანს დაიწყებს, შეუერთდენ პრინციპიალურათ წილელ ინტერნაციონალს იმის მოლოდინში, რომ თავისი მუშაობით C. G. T.-ში ისინი თან გაიყოლიებენ მას".

(le Temps).

**) ქ. ამიანში მომხდარ კონგრესის დეკლარაცია, რომელიც შეიცავს სინდიკატების პარტიისაგან დამოუკიდებლობის ცნობას.

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.", როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

# ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### ყირიმის შიკრიკი.

**ერევანი**, 15 ოქტ. გაზეთი „არაჩ", იტყობინება, რომ 7 ოქტომბერს სომხეთის პრემიერ მინისტრს ოგანჯანიანს ესტუმრა პოლკოვნიკი ზინკევიჩი, ყირიმის დიპლომატიური წირმომათგენელი, რომელიც ამ დღეებში ისევ გაბრუნდება უკან.

### პლებისციტი კარინგიაში.

**ბერლინი**, 20 ოქტ. კარინგიას სამხრეთ ზონაში პლებისციტი დათავდა. ავსტრიასთან შეერთების მომხრეებმა მიიღეს 60 პროც. ხმა მთელი მცხოვრებლებისა.

### ოსმალო სამხედრო ტყვეების გაგზავნა.

**ბაქო**, 25 ოქტ. რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან მოდიან ბაქოში ოსმალო სამხედრო ტყვეები. ოსმალეთის კომუნისტურ პარტიასთან არსებული კომისია აგზავნის მათ სამშობლოში.

15 ოქტომბერს ბაქოდან გაემგზავრა ბათუმით ოსმალეთისაკენ პირველი ეშელონი ოსმალო სამხედრო ტყვეებისა რიცხვით 300 კაცი.

### იტალიის მუშ-ბს სამართალში აძლევენ.

**რეველი**, 20 ოქტ. იტალიელ გაზეთების ცნობით, იუსტიციის მინისტრმა ფერამ სენატში განაცხადა იმის გამო, რომ მუშებმა ქარხნები და ფაბრიკები ხელში ჩაიგდეს. აღძრულია 14 სასამართლოს პროცესი მარტო მილანში. აგრეთვე სასამართლოს პროცესი აღძრული იქნება, ნეაპოლში, გენუიაში და ტურინშიო.

### ლენქორანის მაზრაში.

**ბაქო**, 25 ოქტ. ლენქორანის მაზრაში ბეგების და ხანების ჩამორთმეული მიწები დაურიგეს გლეხებს. ახლა წარმოებს გაცხარებული მუშაობა, რათა გაიყოს მიწები სოფლების საზოგადოებებს თანასწორათ. სოფლებში ერთხმად ადგენენ დაამუშაონ წითელ-არმიელების მიწები და კიდეც შეუდგენ მოქმედებას. ყოფილ მემამულეებს ჩამოართვეს წისქვილები, რომელიც საზოგადოებას გადასცეს.

გლეხების განცხადების მიხედვით მაზრაში იმყოფება საკმარისი ხორბალი მინდვრების დასათესად. მიღებულია ენერგიული ზომები, რათა ააშენონ კიზილის და აგაჩის შუა წყალსადენი მილი.

### ვრანგელის წარმომადგენელი რუმინიის მთავრობასთან.

**ადესა**, 22 ოქტ. „ბესარაბია", იტყობინება, რომ პოკლევსკი-კეზელი იმყოფება ვრანგელის წარმომადგენლათ რუმინიაში.

### მრეწველობის აღორძინება.

**მოსკოვი**, 25 ოქტ. ერთ უკანასკნელ სხდომაზე სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა, გამოვიდა მოხსენებით სატრანსპორტო ქარხნების მუშაობაზე ამხ. რიკოვი.

„იმ ორთქლმავლების საერთო რიცხვიდან, (4,600) რომელიც გამოვიდა ან გამოვა რემონტიდან 1921 წ. ვ. ს. წ. ხ. სალითონო განყოფილებას ეკუთვნის 600, რომელისგანაც 100 ახალი, 250 დიდ რემონტისა და 250 პატარა რემონტის. ამას გარდა სალითონო განყოფილებას ეკუთვნის მთელი სათადარიგო ნაწილების წარმოება, როგორც ორთქმავლისათვის, საჭირო და გამოშვებული სალითონო განწყობილების მიერ, აგრეთვე შესაკეთებელ რკინის გზის სახელოსნოების გზათა სახალხო კომისარიატისა. ლითონის განყოფილებას კი ევალება ლითონის ყველა საგნების გაკეთება, რომელიც კი საჭიროა რემონტისათვის.

ეხლანდელი პროგრამა განაწილებულია 70 ქარხანას შორის, ამას გარდა 21 ქარხანა გამოყოფილია ცალკე, რომელსაც ეწოდება „დამრტყმელი", და მიღებულია ენერგიული ზომები, რათა დაკმაყოფილებულ იქმნას ეს ქარხნები სურსათით, სამუშაო ძალით, სათბობი მასალის მიწოდებით და სხვა. ეს „დამრტყმელი" ქარხნები გამოყოფილია იმ მიზნით, რომ მასზედ იქნეს დავალებული განსაკუთრებულათ ძნელი და მეტად საჩქარო საქმეები, აგრეთვე ამორჩეულია ქარხნები ყველაზე უფრო ძლიერები ან და სპეციალურად მოწყობილი ორთქმავლის სპეციალურ ნაწილების გასაკეთებლად.

ამ 21 დამრტყმელ ქარხნიდან 14 არის ცენტრში და 7 კი უკრაინაში.

ზევით ჩამოთვლილ დამრტყმელ ქარხნებს ევალება 60 პროცენტის ახალ ორთქმავლის გამოშვება, 40 პროცენტი კი ევალება არა დამრტყმელებს. სათადარიგო ნაწილებიდან ყველაზე მეტი პასუხის მგებელი, როგორც ორთქმავლის ნაწილების ჩამოსხმა დ სხვ., ცოტა გამოკლებით განაწილებულია დამრტყმელ ქახნებზე. რაც შეეხება ვაგონების სათადარიგო ნაწილებს და სხვა ხარისხის ლითონის საგნებს, ასეთები 50—70 პროც. განაწილებულია დანარჩენ ქარხნებზე.

მუშების შესავსებათ ქარხნები სარგებლობენ როგორც საკუთარ ძალებით, ქარხნის მახლობელ ადგილებიდან მუშების მოწვევით, აგრეთვე გლავკტრუდოდან, სარგებლობს რა მობილიზაციით.

საერთოთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამრტყმელი ქარხნები ცენტრის რაიონისა ცხოვრობენ დღეს ამაღორძინებელ ცხოვრებით, ამაღლებენ თავიანთ წარმოებას და სრულის შეგნებით ასრულებენ საბჭოთა რესპუბლიკის დავალებულ მუშაობას, ცდილობენ შეასრულონ ასი პროც. მიცემული პროგრამისა და უზრუნველყონ ტრანსპორტის მუშაობა.

### სამუგვე ტყავის დამუშავება

**მოსკოვი**, 25 ოქტ. ვინაიდან სამუგვე ტყავი შემოელიათ, მიყვეს ხელი სამუგვეს მაგივრის გაკეთებას.

გლავკოჟის ცნობით, 1920 წ. პირველ ნახევარში დაამზადეს ტყავის მსგავსი სამუგვე 183.850 წყვილი, ხის სამუგვე 16.553 წყვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყავის მსგავს სამუგვეს წარმოებამ 1920 წ. ძალიან წაიმატა; მარტში გაიზარდა 235 პროცენტით მეტი იანვრისაზე, აპრილში 300 პროცენტით და მაისში კი 635 პროც.-დე.

### ხორბლეულის წარმოება საფრანგეთში.

**მოსკოვი**, 25 ოქტ. საფრანგეთის „ჟურნალ ოფიციალი" აქვეყნებს შემდეგ ცნობას მოსავლისას, დანარჩენ წლებთან შედარებით, რომელიც შედგენილია მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობებიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1912 წ. | მოიწვიეს | 91,000,000 | კვინტ. |
| 1913 წ. | " | 87,000,000 | " |
| 1914 წ. | " | 76,946,000 | " |
| 1917 წ. | " | 36,625,000 | " |
| 1919 წ. | " | 49,653,000 | " |
| 1920 წ. | " | 62,700,000 | " |

ამ ციფრებიდან სჩანს თუ როგორ იმოქმედა ომიანობის წლებმა პურის მოსავალზე და რა რიგად დაიწია მოსავალმა 1917 წ; სწორედ მაშინ, როდესაც ომის შედეგები ყველაზე უფრო გამწვავდა, მაშინ მოსავლის დაცემამ აიწია 58 პრ. —1913 წლის მოსავალთან შედარებით. 1919 წელი საფრანგეთმა გაატარა მშვიდობიანობაში და მოსავალმა კიდეც აიწია 56 პროც. 1917 წლის მოსავალთან შედარებით. მიმდინარე წელმა მოიტანა კიდევ მეტი გადიდება; მაგრამ მაინც ამ პურის რაოდენობა ვერ შეერდა თუ გინდა 1914 წლის მოსავალსაც, რომ არ ვილაპარაკოთ 1912 წლის კარგ მოსავალზე. საერთო რიცხვი სხვა და სხვა პურისა 1920 წელში აღწევს 77.137,770 კვინტ. მაგრამ მაინც ეს ციფრი ვერ აღწევს 1912 წლის წლის წმინდა პურის მოსავალთან.

გასაგებია, რომ საფრანგეთის მოთხოვნილება განსაკუთრებით პურზე ამ წელშიაც ხდება დაუკმაყოფილებელი. საფრანგეთს მუდამ შექონდა პური კარგ მოსავლიანობის დროსაც; 1913 წ. მარტო რუსეთიდან შეიტანა საფრანგეთმა 29.293.465 კვინტ.

### ელექტრონის ლამპები.

**ბაქო**, 25 ოქტომბერი. საქართველოში გაგზავნილია ა. ს. ს. რ. ვაჭრობა მრეწველობის კომისარიატის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა მიიღოს და გაგზავნოს ა. ს. ს. რ. 50—70 ათასამდე ცალი ელექტრონის ლამპა.

### გლავკოდის გადასვლა გზათა კომისარიატის განკარგულებაში.

**მოსკოვი**, 25 ოქტომბერი. წყლის ტრანსპორტის მთავარი კომიტეტი გადავიდა გზათა და მიმოსვლის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში; წყლის მუშების კავშირი შეუერთდა რკინის გზელების კავშირს.

### ორთქმავალის სლანცით გათბობა.

**მოსკოვი**, 25 ოქტომბერი. რეველში გააკეთეს ცდა ორთქმავალის სლანცით გათბობისა. ცდამ მისცა ბრწყინვალე შედეგები.

სადგურ რეველიდან გავიდა საბარგო მატარებელი 90 ვაგონით და ტაპსამდის მისვლას მოუნდა 31 ს. და 20 წ.

უკან დაბრუნებისას იმავე მატარებელმა იგივე გზა გაიარა 21 ს. 7 წ. ვინაიდან ამ დროს ქარი არ იყო.

სიჩქარე, რომელიც აქვს სლანცით გამთბარ ორთქმავალს, 4 კილომეტრით მეტია, ვიდრე ნახშირით გამთბარ ორთქმავალისა. ამ მატარებელმა მგზავრობის დროს დასწვა 120 ფუთი სლანცის მტვერი, მაშინ როდესაც ნახშირი მოუნდებოდა 180 ფუთი.

### ნავთის გადატანა.

**მოსკოვი**, 25 ოქტომბერი. ნავთის მთავარ კომიტეტის ცნობით ჯამი ნავთისა, რომელიც გადატანილ იქმნა ბაქოდან, დღიდან ოპერაციის დაწყებისა პირველ ოქტომბრამდის, შეადგენს 121.160 ათას ფუთს, რომლისგანაც ასტრახანით გაგზავნილია 113.374 ათასი ფუთი.

### ნავთ-აღმაშენებლობითი მუშაობა „ვლავგოდისა"

**მოსკოვი**, 25 ოქტ. წყლის ტრანსპორტის მთავარმა კომიტეტმა გადაწყვიტა, დაიწყოს ხომალდების აშენება, იმ ანგარიშით, რომ ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნეს იმდენი ხომალდი, რამდენიც იყო ომამდის.

მთელი პროგრამის შესრულება მოხდება 5 წელში. ამ დროის განმავლობაში გადაწყვეტილია აშენდეს 8.650 ხომალდი, ამასთანავე 1920—21 წ. უნდა შესრულდეს პროგრამის 10 პროც. 1921—22—15 პროც. და შემდეგ დანარჩენ წლებში—20 პროც. 25 პროც. 30 პროც.

ამ მიზნით მთავარი კომიტეტი შევიდა კავშირში „გლავლესკომ" თან, რათა მიცეს ხომალდების ასაშენებლათ ხე-ტყის მასალა, რომელიც არის დამზადებული „გლავლესკომ"-ის საწყობებში.

პირველ წელში განზრახულია აშენდეს 850 ხომალდი. 553 ხომალდისათვის მიცემულია უკვე ტყის მასალა, მიღებულია ნაწილი სურსათისა და სხვა საჭირო საგნებისა. ამ რიცხვიდან 53 იქნება აშენებული მდინარე ვოლგაზედ.

ხომალდის აშენებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა სრულიად საკმარისია.

### „ტაიმსი'', საბჭოთა რუსეთზე.

**მოსკოვი**, (რადიო). „ტაიმსი'' ათავსებს გარდინგის ღია წერილს, რომელშიაც უკანასკნელი მიუთითებს, რომ აუცილებლად სცნონ არსებული რუსეთის საბჭოთა მთავრობა.

### ვენეციის არსენალი მუშების ხელშია.

**რეველი**, 18 ოქტ. ვენეციის მთავრობის არსენალი დღემდის მუშების ხელშია. მუშებმა საკვირველი წესიერება გამოიჩინეს: მუშაობა არსენალში და სხვა ქარხნებში ნორმალურათ მიმდინარეობს.

### განხეთქილება სოციალისტურ პარტიაში.

**რეველი**, 18 ოქტ. იტალიის სოციალისტურ პარტიის კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მილანში 1 ოქტომბერს მიიღო დღის წესრიგი, უკიდურეს მემარცხენეების მიერ წარმოდგენილი, რომლებიც კომუნისტურ ინტერნაციონალის პირობებს სოლიდარობას უცხადებენ.

ამის გამო იტალიის პრესა სოციალისტურ პარტიაში განხეთქილებას მომხდარ ფაქტად აღიარებს.

კამათის დროს ორმა მიმართულებამ იჩინა თავი, რომლებიც ძალიან დაშორებული იყვნენ ერთმანეთზე. ერთს ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს სერატი. ეს მიმართულება მოითხოვს პარტიის ზომიერათ გაწმენდას ისე, რომ პარტიის ერთიანობა შენარჩუნებულ იქნას. მეორე მიმართულებას ხელმძღვანელობს ტერრაჩინი და ტურინის ჯგუფი „ორდინე ნუოვო". სერატი ცდილობდა რეფორმისტული ფრთის მეთაურების პარტიიდან გაძევებას და თვით ამ ფრთას კი ტოვებდა პარტიაში. ამით მას იმედი ჰქონდა, რომ დააშოშმინებდა მემარცხენე მაქსიმალისტებს. მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაუარა.

ტერრაჩინის დღის წესრიგი, წინააღმდეგ ამისა რეფორმისტებისგან და პარტიული ცენტრისგან სრულს გამოყოფას მოითხოვდა.

სერრატიმ განაცხადა, რომ ყველაზე უფრო საჭიროა ავიცილოთ პარტიული განხეთქილებაო; მომხდარი ამბები თვით გადახრიან და მიმართავენ მარცხნით მოძრაობასო.

მეორე ორატორი ბელონი დაჟინებით აღიარებდა განხეთქილების აუცილებლობას და პარტიის შიგნით დიქტატურის საჭიროებას.

ბომბაჩიმ განაცხადა, რომ პარტიაში განხეთქილება აუცილებელი ისტორიულ მოვლენას წარმოადგენსო. განშორება და ცალ-ცალკე პარტიებათ ჩამოყალიბება კომუნისტების და სოციალ-დემოკრატებისა ცხოვრებაში უკვე მომხდარ ფაქტს წარმოადგენს... მას შემდეგ, რაც უკანასკნელ დღეებში მომხდარმა ამბებმა გვიჩვენეს, თუ რა ხიფათს წარმოადგენენ რევოლიუციისათვის მემარცხენე ელემენტები, ჩვენს წრეში რეფორმისტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

იმის გამო, რომ კრებამ რადიკალების მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი მიიღო, სერატიმ „ავანტის" რედაქტორობაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ მეორეთ მომხდარ კრებაზე სერატის წინადადება მისცეს დარჩენილიყო თავის პოსტზე პარტიულ ყრილობის მოწვევამდის. ამ წინადადებაზე სენატის პასუხი არ მიუცია.

შემდეგ კომიტეტმა დაადგინა, მოიწვიოს პარტიული ყრილობა 29 დეკემბრისა და იანვრის შუა რიცხვებში.

### შორეულ-აღმოსავლეთის გაერთიანება.

**მოსკოვი**, 29 ოქტ. (რადიო). „იზვესტია" სწერს: „სულ მოკლე ხანში ჩიტაში დაიწყებს მუშაობას შორეულ-აღმოსავლეთის ოლქების კონფერენცია, შორეულ-აღმოსავლეთის გაერთიანებაზე და ცენტრალურ მთავრობის შექმნაზე. აქამდის ამას ხელს უშლიდა ატამანი სემიონოვი, რომელიც იმყოფებოდა ჩიტაში; ეს გარემოება ყოფდა შორეულ-აღმოსავლეთს ორ ნაწილად: ვერხნეუდინსკის და ვლადივოსტოკის. რა თქმა უნდა, ეს ხდებოდი იაპონიის იმპერიალიზმის დახმარებით, რომელიც მთელი თავის ძალღონით ხელს უწყობდა სემიონოვს. ახლა ჩიტა დაკავებულია წითელ აჯანყებულების მიერ. სემიონოვი ჰაეროპლანით გაფრინდა, არავინ იცის, საითკენ. ძველი კვლავ აღარ დაბრუნდება. იაპონელებს დარჩენიათ მხოლოდ ერთი რამ: მიულოცონ ახალ ბატონ-პატრონებს, მხოლოდ კბილების კრაჭუნით.

წინასწარმეტყველობა იმისი, რომ იაპონია აიღებს ხელს შორეულ აღმოსავლეთზე, შემცდარია. იაპონია უცდის მდგომარეობის შეცვლას დასავლეთ-ევროპაში. ასე ამრიგად დღეს ჩიტას საკითხი დადებითადაა გამორკვეული. მთავარ ყურადღების ღირსი დღეს კონფერენციაა, რომელზედაც არიან წარმომადგენელნი შორეულ-აღმოსავლეთის ყველა რესპუბლიკა.

ამ კონფერენციაზე დაეჯახებიან ერთმანეთს ორი შეხედულება, რომლის გამომხატველნი არიან ვერხნეუდინსკი და ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში ცოტა ხნის უკან შედგა კოალიციონური მთავრობა ესერებისგან, მენშევიკებისგან და ცენტროვიკებისგან. იაპონელები ეცდებიან, თუ აშკარა გამოსვლით არა, კულისებიდან ჩურჩულით მაინც დაეხმარონ თავის მომხრეებს. იაპონელები მეტად დაინტერესებულნი არიან ციმბირის ბუფერული სახელმწიფოს შექმნით. ამისათვის ისინი დაიცავენ კოალიციონურ მთავრობას ცენტროვიკების მონაწილეობით. საბჭოთა რუსეთი, ცნობს რა აღმოსავლეთის ხალხთა თვით გამორკვევას ვერას გზით ვერ დაუშვებს იქ რეაქციის დასაყრდნობ ძალის შექმნას. აგრეთვე მშრომელი ხალხიც, სემიონოვის და კოლჩაკის მწარე გაკვეთილების შემდეგ არ შეუწყობენ ხელს შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის იმპერიალიზმის განვითარებას. ამ მისწრაფებაში, შორეული აღმოსავლეთის მშრომელები ნახავენ ძმურ დახმარებას საბჭოთა რუსეთის მშრომელ ხალხში".

### უმუშევრობა იზრდება.

მოსკოვი, 29 ოქტ. (რადიო) მანუსი, ინგლისის კომუნისტური პარტიის წევრი ერთ ინგლისის გაზეთში სწერს: „სხვა გამოსავალი არ არსებობს, უმუშევრობამ ინგლისში მიაღწია კატასტროფიულ მდგომარეობას. ბურჟუაზია ცდილობს თავის საყვარელ საშუალებით, მუშების მოტყუილებით გავიდეს ფონს. მუშებმა უნდა აიღონ თავის ხელში მრეწველობა და დააწესონ კონტროლი წარმოებაზე. ეს შეიძლება მხოლოდ სოციალურ რევოლიუციის გზით, საბჭოთა რუსეთისადმი წაბაძვითო.

### „ქ ა პ ა ნ ი".

ბათუმი, 26 ოქტ. ყირიმის გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია" სწერს; „ჩვენი ზურგი, სადაც ობივატელი არ უჯერის არც „თეთრებს და არც „წითლებს", და თანდათანობით, უყურებს რა მდგომარეობას იცვლის მის მიხედვით ფერს, ჩვენი ზურგი, სადაც ტანჯვით და წვალებით ფეთქს რუსის სული, ძველებურათ მიათრევს თავის უსულგულო და მოდუნებულ ობივატელურ ქაპანს.

ჩვენი საზოგადოების ამაზე უფრო ზნეობრივი გავერანების და გათახსირების, ამაზე უფრო უსუსურობას სიძვირესთან, ღლევასთან და თავზედ სპეკულიაციასთან ბრძოლაში. სახელმწიფოებრივ გრძნობის უფრო მეტ დაცემას ჩვენ ვერ ვნახავთ რუსეთის ისტორიის თვით ფრიად შავ-ბნელ დღეებში.

საზოგადოებრივი სინიდისი მოწამლულია მხოლოდ და მხოლოდ გამდიდრების და ისეთი ჩარჩობის სურვილით, რომლისთვისაც სახელწოდება მძიმე გამოსაგონია ჩვენ ვშიშობთ, რომ გამარჯვებული სპეკულიანტი საბოლოოთ ჩაახშობს მის წინაამდეგ მებრძოლთა ცდებს.

არავითარი ბ. ნალბანდოვის თათბირი საზოგადო მოღვაწეებთან და ყირიმის გენიოსებისა და მეზღვაურთა წინაშე რევერანსები, არავითარი მოხსენებები და დისპუტები ბერნაცკისა ველარ იხსნიან ქვეყანას გასაჭირისაგან, სანამ მთავრობა ხალხს არ გამოფხიზლებს და შეაძრწუნებს-შემოანძრევს".

### დამოუკიდებელი სასამართლოები

ტრაპიზონი, 13 ოქტომ. სხვა ზომათა შორის ეროვნულმა ყრილობამ დააარსა დამოუკიდებელი სასამართლოები. ამ სასამართლოებს ევალება ყველა პოლიტიკური საქმეების განხილვა, გაუგებრობათა გადაწყვეტა და უსამართლოების წინაამდეგ ბრძოლა. ეროვნულმა ყრილობამ აირჩია რამოდენიმე პირი, რომლებიც ჩამოივლიან ყველა კუთხეებს და მოაწყობენ სასამართლოებს.

### ქვანახშირის მომუშავეების გაფიცვა ინგლისში.

მოსკოვი, 29 ოქტ. (რადიო). მდგომარეობა ისევ კრიტიკულია. მასსიური გაფიცვის საშიშროება არ გასულა. მუშების წარმომადგენელი ხოდჟესი არ სთმობს პროვაკატორ ტომასის მაგივრად, რკინის გზელების მოძრაობას ჩაუდგენ სათავეში გამოცდილი რევოლიუციონერები. მოსალოდნელია მუშების ადგილიდან დათხოვა, ნავთსადგურის და ელექტრონის დაწესებულების მუშებმა გადაწყვიტეს 25 ოქტომბრიდან დაიწყონ გაფიცვა.

### პროვაკატორები მუშაობენ.

მოსკოვი, 29 ოქტ. ქვანახშირის მუშების აღმასრულებელ კომიტეტის წევრები დასთანხმდენ მთავრობის წინადადებაზე, რის შემდეგ მიიღეს მონაწილეობა კონფერენციაზე პრემიერთან ერთათ, სადაც იყვნენ აგრეთვე მინისტრები და შახტების პატრონები. გადაწყვეტ. დაახლოვებით ასეთია: ქვანახშირის მთხრელები მიიღებენ 10 მილიონ მანეთს, თუ ისინი გაადიდებენ ქვა-ნახშირის წარმოებას. ფიქრობენ, რომ ეს შეთანხმება ქვა ნახშირის მთხრელების მიერ იქნება უარყოფილი.

### სამართლიანი სასჯელი.

მოსკოვი, 29 ოქტ. (რადიო). ქურდობისათვის და სპეკულიაციისათვის პსკოვის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა დახვრიტა სამი კაცი: სურსათის მოწყობის გამგე, ხისხლის სამართლის ძიების უფროსი და გუბერნიის კომისარიატის მომარაგების უფროსი.

### ოსტოს წითელი ახალგაზდობა

ვლადიკავკაზი 29 ოქტ. ახალგაზრდათა კავშირის მუშაობა ოსტოში ბრწყინვალეთ მიმდინარეობს. სოფელ ბრდონში მოაწყვეს „ვოსკრესნიკი", და მიტინგი. მეზურის რაიონში ყოველ სოფელში არსებობს ახალგაზრდების კავშირი. ინტენსიური მოქმედება ამ ორგანიზაციებისა აიხსნება არა ჩვეულ-რიგ ენტუზიაზმით მთიულეთის ახალგაზრდობისა, მოხუცებულები თვით აგზავნიან თავიანთ შვილებს კომუნისტურ პარტიაში ჩასაწერად.

### სიმონსის სიტყვა.

ნაუენი, 30 ოქტ. დღეს რეიხსტაგი განახლდა პოლიტიკური დებატები. მინისტრ სიმონსმა განაცხადა, რომ 8 თებერვალს, 1918 წელში დადებულ პირობას ანტანტა არ ასრულებსო; აგრეთვე —ჩვენ ძალით ვადიარებიეთ გერმანიას მისი დანაშაულობაო, იგი მინისტრ ვესტარას არ ეთანხმება იმაში, რომ ზავი მოტყუილების და ძალადობის საშვალებით არის შეკრული. გერმანიის მთავრობამ ხელი მოაწერა ზავს და ეროვნული ყრილობის უმრავლესობამაც დაამტკიცა იგი მანამ სანამ მოწინააღმდეგე მას (გერმანიას) დამუქრებას დაუწყებდა. ამიტომ გერმანიამ უნდა იცნოს ხელშეკრულება, როგორც საერთაშორისო ვალდებულება, და შეძლების-და გვარათ სისრულეში მოიყვანოს იგი. თუ შეცდომით ფიქრობდა გერმანიის ხალხი, რომ ხელშეკრულების არ ასრულება შესაძლებელიაო, ახლა მაინც დარწმუნდება თავის შეცდომაში. თუ გერმანია სინდისიერათ არ შეუდგება თავის ვალდებულებათა ასრულებას, მაშინ მას ერთილა გზა დარჩენია: ომის დაწყება, როდესაც მთავრობის პოლიტიკა-კი ზავისკენ არის მიმართული.

მაგრამ გერმანიის მთავრობა ყოველივე ძალდატანებას გერმანიის ხალხის წინააღმდეგ ზავის შეკვრის შემდეგ ეურჩება. წინააღმდეგობას უწევს. ასე, მაგალითად, გერმანიას არ აქვს უფლება ის მასალები გაანადგუროს, რომლების განადგურების საჭიროებას ანტანტის კამისია სცნობს. გერმანიამ კი დიდი სიმდიდრე გაანადგურა.

ელჩების კონფერენციის ყურადღებას ჩვენ მივაპყრობს იმისკენ თუ რა ეკონომიური შედეგი მოყვა ამ განადგურებას.

ცნობა იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა კომისიამ ვითომც უარი განაცხადა დიზელევის მატორების გაფუჭების მოთხოვნაზე, ტყუილია. ისინი მხოლოდ ხელს არ შეუშლიან ახალი მატორების გაკეთებას. არსებულ მატორების გაფუჭება ზარალს იძლევა 150 მილიონ მარკას, რითაც დაუსრულებლივ იცვლება ვადა კონტრიბუციის გადახდისა.

სიმონსს ტაშის ქუხილით მიეგება მთელი პარლამენტი, როდესაც მან განაცხადა მთავრობის გადაწყვეტილება უპასუხონ ანტანტის მოთხოვნილების გადმოჭრილი უარით. ქვევით. სიმონმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი ვარს აცხადებს გერმანიის საკუთრების მითვისებაზე და იმედს გამოთქვამს შეკრას აგრეთვე შეთანხმება ანტანტის სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით იტალიასთან, იაპონიასთან და პოლონეთთან.

ბელგია ჯერჯერობით სავსებით შეურიგებელია.

მქუხარე ტაშის ცემით შეხვდენ სიმონსს, როდსაც მან გერმანიის ხალხის სახელით მწუხარება გამოთქვა საარის ოლქში, (საფრანგეთის მიერ მიღებულ ზომების გამო) რეინის ოლქში და ზემო სილეზიაში საფრანგეთის მიერ ჩადენილ ზომების გამო. როდესაც ზემო-სილეზიაზე ლაპარაკობდა, სიმონსმა აღიარა, რომ უდიდესი შეცდომა იქნებოდა სილეზიისთვის დამოუკიდებლობა მიგვეცა.

## უკანასკნელი ცნობები

**სამხ. ოპერატ. 27 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის" საველე შტაბისა. (მიღებულია ბაქოდან).**

### ყირიმის ფრონტი.

ნიკოპოლის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მდ. დნეპრი გადალახეს და მოწინააღმდეგეს ბრძოლაში შეებნენ. სად. პოლოვის რაიონში ჩვენ ეს სადგური და სოფ. კონსკიე რაზდორი დავიკავეთ.

**სამხედრო ოპერატიული 30 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენ სოვეტის" საველე შტაბისა.**

მოსკოვი, 28 ოქტომბერი.

### ყირიმის ფრონტი.

ჩვენ ბერდიანსკი დავიკავეთ. განვაგრძობთ შეტევას დასავლეთისკენ და ნელგოვკა-პოპოიშტარტ-ნოგაისკის ხაზს მივაღწიეთ.

### გერმანიის კომუნისტების გაერთიანება.

მოსკოვი, 29 ოქტ. (რადიო). გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ მოკლე ხანში მოხდება შეთანხმება კომუნისტებსა და მემარცხენე დამოუკიდებლებს შუა.

### მაღაროების მუშების გაფიცვა ინგლისში.

მოსკოვი, 29 ოქტ. (რადიო). ლოიდ-ჯორჯი ზედმეტად თვლის სამედიატორო სასამართლოს დანიშვნას, ვინაიდან ჯერ კიდევ მოლაპარაკება არ დაწყებულაო. მუშაობის შედეგები მაღაროებში ძალიან მძიმეა. ნახშირის გამოღებამ დაიწია. 4.500.000 ტონით. მუშებმა დაკარგეს 5.500.000 გირვანქა სტერლინგი, რომ არ ჩავთვალოთ სხვა დანარჩენის უბრალო ზარალი მუშების. ბევრმა შემკვეთებლებმა საზღვარ გარეთს მიმართეს. ლანკაშისში მუშაობენ სამი დღე კვირაში, ასე რომ კარგავენ 50 პროც. ამერიკიდან ნახშირის შემოტანა აღკრძალულია.

### კომუნისტების გამარჯვება ბულგარეთში.

მოსკოვი, 29 ოქტომბერი. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოხდა განხეთქილება. მუშები მასსობით გამოდიან პარტიიდან და შედიან კომუნისტურ პარტიაში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განკარგულება გასცა პროვინციებში მიიღონ თავიანთ პარტიაში მუშები მთელი ჯგუფობით.

## ახალი ამბები

**მიწის ძრა თბილისში** გუშინ ღამ თბილისში 12 საათზე და 20 წ. (ახალი დროით) მიწა იძრა საგრძნობლათ.

— **მიწის ძრა დუშეთში** დუშეთიდან ტელეფონით გადმოგვცეს, რომ იქაც ყოფილა მიწის ძრა და ისეთი ძლიერათ, რომ მცხოვრებლებს ბინები მიუტოვებიათ და გარეთ გამოცვენილან.

— **მთავრობის დადგენილება.** მთავრობამ ოქტომბრის 26 სალამოზე დაადგინა: დაევალოს ფინანსთა და სამხედრო მინისტრებს გადასწყვიტონ საკითხი თუ როგორ იქმნას გადახდილი ინგლისის ჯარის და ბარგის გადასაზიდავი ფული, რომელიც საქართველოს რკინის გზას ერგება.

— **საქონლის გატანა საზღვარგარეთ.** მთავრობამ დაადგინა უარჰყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შესახებ იმისა, რომ თბილისის ქალაქის თვითმართველობას მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან საქონლის გატანის უფლება. ამასთანავე დაადგინეს დაჩქარებულ იქმნას ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონ-პროექტის დამუშავება.

— **რესპუბლიკის საავათმყოფოები·** მთავრობამ ოქტ. 21 სხდომაზე დაადგინა მიხეილის საავადმყოფოს ამიერიდან დაერქვას რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო. ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტს კი რესპუბლიკის საბებიო ინსტიტუტი.

## დეპეშები

(ს. დ. ს.)

### გერმანიის უნივერსიტეტში

გერმანიის უნივერსიტეტები უცხოელებით გაივსო, ყოველ ოთხ სტუდენტში ერთი უცხოელია. (გ. ც.)

### სამხედრო ცნობა

მოსკოვი ურსონის რაიონში ჩვენ დავიკავეთ ქალაქი ალეშკო და მის სამხრეთი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლები, ნიკოლპოლის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება. დამატებით ცნობებით 28 ოქტ. ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 1.100 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი, 14 ტყვიის მფრქვეველი, 200 ურემი სამხედრო ქონებით. ჩვენ ბერდიანსკი და ნოგაისკი ავიღეთ. (როსტ.)

### ფრანგულ-ქართული ბანკეტი პარიზში.

სექტემბრის 27 პარიზში გაიმართა ფრანგ-მრეწველთა მიერ მოწყობილი ფრანგულ-ქართული ბანკეტი, ბანკეტზე თავჯდომარეობდა ბ-ნი ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი პეტროგრადში საფრანგეთის მთავრობის მხრივ დაესწრენ: სახალხო განათლების მინისტრი ბ. გონორატი, მრეწველობის აღორძინების მინისტრი ბ. ლიუბერი. საგარეო საქმ. სამინისტროს ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ლიაროში, ამავე სამინისტროს ბეჭვდითი განყოფილების დირექტორი ბ. მიოგო, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში ბ. შევალი და სხვა.

საფრანგეთის მრეწველობის, კომერსანტების და ფინანსისტებიდან ბანკეტს დაესწრენ: ბ. ქილე (ლევანისა და რუსეთის სავაჭრო ბანკისაგან) ბ.ბ. ბალარი ფონტუნი და რობენი) „კავკასიის საზოგადოებისაგან") ბ. გურბერტი (აბრეშუმის მრეწველი ფირმა „გაბრიელ მორელისაგან") ბ. სერარი („ფურანის" ფირმისაგან) ბ.ბ. მერსიე და დემატრ (მარგანეც საფრანგ. მრეწველობისაგან) და მრავალი სხვა.

საქართველოს მხრივ ბანკეტზე დაესწრენ: ნ. ს. ჩხეიძე, ე. პ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, გოგიჩაიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ი. ელიგულაშვილი და სხ.

ბანკეტის თავმჯდომარე ბ-ნი ნულანსი მიესალმა რა საქართველოს წარმომადგენლებს დიდი თანაგრძნობა (სიმპატია) გამოსთქვა ახალგაზრდა რესპუბლიკისა და მისი მთავრობის მიმართ. მან მოიგონა ქართველი ერის სახელოვანი წარსული და შემდეგ თანამედროვე საქართველოს შინაურ მდგომარეობის დახასიათებაზე გადავიდა: „ამ ორი წლის განმავლობაში არეულობამ დაამტკიცა, რომ შას შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. თქვენი რესპუბლიკა თქვენი მეზობლებისათვის წესრიგისა და თავისუფლების მაგალითს წარმოადგენს. საფრანგეთი ვალდებულია დიდის ყურადღებით და გულწრფელი თანაგრძნობით მოეპყრას საქართველოს და დახმარების ხელი გაუწყო მასო—სთქვა ნულანსმა.

## აფთიაქში მომუშავეთა ცხოვრებიდან.

აფთიაქში მომუშავეთა მდგომარეობა არ ყოფილა არასოდეს ოდნავ დამაკმაყოფილებელი, მეტადრე ახლა, როდესაც ის ჩაება სატარიფო პალატის ბჭყალებში. მათი მდგომარეობა ისეთ პირობებში ჩადგა, რომ დაისვა კითხვა ყოფნა არა ყოფნისა.

შედარებით, როგორც ჯამაგირი ისე სურსათი აფთიაქში მომუშავეებს ყველაზე ნაკლები ეძლევათ. ჯამაგირი მაქსიმუმი 7100 მან. რაც შეეხება სურსათს, მათ პურის გარდა და წელიწადში ერთხელ შაქარისა და ბრინჯისა არაფერი არ ეძლევათ. რომ ავიღოთ ქალაქის მოსამსახურეები, ან და სახელმწიფოსი, მათ ან ქალაქი უწყობს ხელს და, ცოტათ თუ ბევრათ, შეღავათი ეძლევათ. ამას კი აფთიაქში მომუშავენი ყველაფერს მოკლებულნი არიან. საზოგადოთ მდგომარეობა სულ ყოველგან აუტანელია. ყოველ მხრივ ისმის შიმშილი და შიმშილი. სანამ სატარიფო პალატა არ იყო, მანამდი კიდევ ახერხებდენ ფარმაცევტები, როგორმე კლასიურ ბრძოლას და დღეს კი მოსპობილი აქვთ ამის შეძლება.

წარსულ კვირას მოხდა საზოგადო კრება, სადაც დაისვა კითხვა: დადგა წუთი, მუშაობას ვერ ვუძლებთ და რა ვქნათო. გამგეობას, რომელსაც ქონდა მინდობილი თავისი აზრი გამოეტანა ამის შესახებ, ქონოდა წინადლით სხდომა, სადაც იყო გადაწყვეტილი გაფიცვა, მაგრამ საცოდავეებმა ამის თქმა საზოზოგადო კრების წინაშე ვერ მოახერხეს. შეეშინდათ ისევ თავის დადგენილების.

რადგანაც „შეცდენ" და დაადგინეს გაფიცვა, გამოსავალი გზა მაინც გამოძებნეს იმით, რომ თვით საზოგადო კრებას ათქმევინეს გაფიცვა. სწორეთ აქ იყო დამარხული ძაღლის თავიც, ალბათ ბალშევიკებზე უნდოდათ მოეხვიათ ბრალი.

დიდი კამათის შემდეგ სხდომამ მიიღო გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ ათი დღის განმავლობაში მოთხოვნილებები არ იქმნა დაკმაყოფილებული.

ამხანაგებო! ყველა უნდა შეუდგეთ იმ საქმეს, რომელიც თამამათ და გულწრფელათ ხელში ავიღეთ. ჩვენ უნდა მივუთითოთ ჩვენს მესვეურებს, რომ გვშიან და მოთმინების ფიალა ავსო. ფედერალისტები მოუწოდებენ თავის პრესაში ბურჟუაზიას, რომ ის არ გაცხარდეს, მენშევიკები ჩუმათ იცინიან და მახვილს გვიმზადებენ, გაფიცვის დასამარცხებლად. ჩვენ კი, კომუნისტები, მოგიწოდებთ მშრომელ პროლეტარიატს: მედგარი, შეუდრეკელი წინსვლა და ბრძოლა სასტიკი ყოველ დამქაშების წინააღმდეგ.

**Bidentis.**

## განცხადებანი

გამომცემლობა
### „წითელი ვარსკვლავი"

**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

**იბეჭდება:**

7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.

**დამზადებულია დასაბეჭდათ:**

8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

# საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 4

## პროლეტარიატი და ქალთა მოძრაობა

როდესაც ახლად მომაგრებულმა ბურჟუაზიულმა კლასმა ფეოდალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა, მან აღმართა დროშა, რომელზედაც მსხვილი ასოებით ეწერა: ძმობა, ერთობა, თავისუფლება. მან შეურიგებელი ომი გამოუცხადა ყოველგვარ დამონებას და ბასრი იარალი გაჰქდა ყოველგვარ მჩაგვრელობის წინააღმდეგ.

მაგრამ მიაღწია თუ არა გამარჯვებას მან ზურგი აქცია რევოლიუციონურ მოქმედებას და ერთი მხრით ძველი რეჟიმიდან ისესხა ჩაგვრა-ყვლეფის გადარჩენილი იარაღები და მეორე მხრით თვით შექმნა დროის შესაფერი საშუალებანი მთელი ქვეყნის დამონებისა. ატეიზმის ადგილი დაიკავა ხალხის გამოყეყეჩებულმა რელიგიამ, ზეციურ და ქვეყნიერ ღმერთთან დამხობის ნაცვლად წინ წამოდგა დაქირავებულ ხუცესთა ჯარის ძლიერი მფარველობა, ერთვნების თავისუფლება შესცვალა დიდ და პატარა ერების, და საერთოთ კოლონიების უდიერმა ჩაგვრამ და სისხლის წოვან. ხოლო ქებული თავისუფლება და თანასწორობა ჩამოყალიბდა როგორც დაქირავებული შრომის რეჟიმი უდიდესი სიმდიდრით არა მშრომელთათვის და უდიდესი სილატაკით შრომის შვილთათვის.

ისტორიული განვითარება, რასაკვირველია, ვერ შეჩერდებოდა ბურჟუაზიის მიერ მიღწეულ საფეხურზე, და შემდეგი პროგრესის მესვეურობა, ყოველგვარი ჩაგვრა ყვლეფის წინააღმდეგ ბრძოლა სავსესით გადავიდა ყველაზე დაჩაგრულ და დამონებულ კლასზე—პროლეტარიატზე ობექტიურათ ცხოვრების საერთო ვითარება ისე მოეწყო. რომ პროლეტარიატს არ შეუძლია გაინთავისუფლოს თავისი თავი, თუ ამავე დროს არ გაანთავისუფლა მან მთელი კაცობრიობა ყოველგვარი ჩაგვრა-მონობისაგან.

ამ ჩაგვრა-მონობის ფორმები კი მრავალ მხრივია. განცდაში სდგას კლასობრივი ჩაგვრა, როგორც საფუძველი მთელი თანამედროვე ცხოვრების არსებობისა, მას ეტმასნება, მის აუცილებელ დამატებას შეადგენს ნაციონალური ჩაგვრა, რელიგიური დევნა და სხ., რომელთა საბოლოო მოსპობა მხოლოთ კლასთა წინააღმდეგობის მოსპობით შეიძლება. პროლეტარიატიც იძულებულია იკისროს მძიმე ტვირთი ყველა იმ ბრძოლის წარმოებისა, რომელიც ერთ დროს ბურჟუაზიის დანიშნულებას შეადგენდა და ამით გზა გაუწალდოს საკუთარ კლასობრივ ბრძოლას...

ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ რამდენადაც მწვავდება და იზრდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, იმდენათ მატულობს და საგრძნობ ძალათ იქცევა განმათავისუფლებელი ბრძოლა დაჩაგრულ ერებისა, დაპყრობილ კოლონიებისა, მთელი ქვეყნის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისა წინააღმდეგ მთელი ქვეყნის მჩაგრავ უმნიშვნელო უმცირესობისა. და ამ ბრძოლაში პირველათ გამოდის დედაკაცი, როგორც ახალი და ძლიერი ძალა სოციალურ თანასწორობაში ცხოვლათ დაინტერესებული.

დედაკაცი—ეს ყველაზე დაჩაგრული არსებაა თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც პროლეტარიატის მძიმე უღელთან ერთათ ზიდავს თავის საკუთარ მხრივ ტვირთს, დაკავშირებულს მის მთგომარეობასთან, როგორც სუსტი სქესისა. კაცობრიობის განთავისუფლება არ მოხერხდება ისე, თუ არ განთავისუფლდა დედაკაცი, ეს მთელი კაცობრიობის ნახევარი,—ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები.

მხოლოთ დედაკაცის ხვედრია უსაზიზღარესი და უსაშინელესი მოვლენა—საკუთარი ხორცით ვაჭრობა, პროსტიტუცია. მხოლოთ დედაკაცია გამუდმებით მიკრული კერასთან, ოჯახთან, მას აწევს კისრათ ბავშვების აღზრდა და მოვლა პატრონობა. შრომის სფეროში ის გაცილებით მეტათ იჩაგრება ვიდრე მამაკაცი. ის მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს მაშინაც კი, როდესაც სოციალურათ თანასწორ პირობებში მყოფ მამაკაცს ისინი მოპოებული აქვს.

ყველა ეს ქმნის მადლიან ნიადაგს ქალთა მოძრაობის გაღვივებისათვის. მიუხედავათ ამისა, ქალთა მოძრაობა არასოდეს არ ყოფილა ძლიერი და მნიშვნელოვანი, რადგან საუკუნოებრივ მონობაში აღზრდილი ქალი თავს ვერ იღებდა და ცხოვრების სიდუხჭირეს ვერ ებრძოლებოდა.

მართალია, მსოფლიო ომამდე აქა იქ თავი იჩინა ქალებში ეგრეთწოდებულმა სუფრაჟისტულმა მოძრაობამ, მაგრამ იგი, როგორც ბურჟუაზიული თავის არსებით, მოკლებული იყო, ნამდვილი მასიური მოძრაობის ცხოველ მყოფელ ელემენტებს და შინაარსითაც ულიმლამო ცალმხრივობას წარმოადგენდა. ის მოითხოვდა პოლიტიკურ უფლებებში დედაკაცის გათანასწორებას მამაკაცთან და სრულიათ არ უწევდა ანგარიშს, რომ მამაკაცთა დიდი უმრავლესობა მოკლებული იყო ამ უფლებებს; მისთვის საკმარისი იყო ბურჟუაზიულ ქართა დაჯილდოება ამ უფლებებით და საერთო სოცილურ-პოლიტიკურ მდგომარეობას ხელუხლებლათ სტოვებდა.

თვით ამ უილაჯო ბრძოლაშიაც აშკარათ სჩანდა გაბატონებულ მამაკაცის გავლენა დაჩაგრულ დედაკაცზე. მისი მსოფლმხედველობა და შეხედულება დედაკაცის დანიშნულებაზე განსაზღვრავდა ამ უკანასკნელის აზროვნებას და ზნეობას.

როგორი იყო ეს შეხედულება? ქალი გაჩენილია მამაკაცისათვის, რომელსაც მან უნდა შესწირონ თავისი გრძნობები და ყველა თავისი ბუნებრივი ნიჭი. ოფელია და მარგარიტა—აი ქალის იდეალი ბურჟუას თვალში. ამაზე ბევრათ შორს არ მიდის ვითომდა მებრძოლი ბურჟუა-ქალის იდეალი. იბსენის ნორა, რომელიც თითქმის რევოლიუციონურათ კავშირს სწყვეტს ოჯახთან, სადაც მას სიყვარულის მოთხოვნილება ვერ დაუკმაყოფილებია, და ალბათ მზათაა ეძებოს იგი მსგავსათ მოწყობილ ოჯახში—აი იდეალი თავისუფალი ქალისა, რომელსაც მიაღწია ბურჟუაზიულმა აზროვნებამ.

სოციალური მიზეზები, ეს კლასთა ბრძოლის ქვაკუთხედი, მხოლოთ პროლეტარიატის საკვლევი და სახელმძღვანელო საგანია. ქალთა მოძრაობა უნდა მიემხროს და შეუერთდეს უკვე არსებულ დიად პროლეტარულ მოძრაობას, რომელიც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი სულით ქლენთავს. აი ნამდვილი და ერთათ ერთი სწორი გზა ქალთა მოძრაობის გაძლიერებისა და ნაყოფიერებისა.

აქ სულ სხვა იდეალები, ქალთა სხვა ტიპები გვეხატებიან თვალწინ. ქალი—რევოლიუციონერი, ძალი-მებრძოლი ყოველი უსამართლობის და უმთავრესათ კლასობრივ უთანასწორობის წინააღმდეგ—აი თანამედროვე ცხოვრების შესაფერი ქალის იდეალი.

ეს ცხოვრება დიდათ ეხმარება ასეთ ქალთა რიცხვის გამრავლებას. იგი სპობს ოჯახურ კარჩაკეტილობას და ოჯახის მარჩენალ მამაკაცის გარდა სამუშავოზე ერეკება მის ცოლს, დედას და დას. თანდათან ისპობა ოჯახური სამრეცხავო, სახაბაზო, სამზარეულო და ოჯახური ხდება მხოლოთ დასასვენებელი და ღამის გასათევი ადგილი. ქალი და კაცი სამუშავოს შემდეგ თანასწორათ იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყოველივე ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ ქალი იქცეს თავისუფალ ადამიანათ და ყოველ დარგში ნაყოფიერათ დახარჯოს თავისი ნიჭი და უნარი.

განა შეედრებიან ამ ტიპის ქალებს ბურჟუაზიულ ასპარეზზე მოღვაწე ქალები? განა რითიმე ჩამოუვარდებიან ეს ქალები მსგავს პირობებში მოღვაწე გამოჩენილ მამაკაცებს. როზა ლიუქსემბურგი, კლარა ცეტკინი, ლუიზა ციცი აი რა გმირ-ქალებს ქმნის თანამედროვე ცხოვრება, აი საით უთითებს იგი სხვათაშორის ქართველ ქალსაც.

## მუშა-ქალთა ცხოვრება

### ხმა საბაჟო არტელიდან.

საბაჟოსთან არსებობს შრომის არტელი. აქ მუშაობენ მუშები რიცხვით სამოცამდე, რომელნიც ირიცხებიან შტატში. დანარჩენი მუშები კი არიან დღიურები, წუმწუმაზე მომუშავე ქალები, რიცხვით ხან ასი ხან ნაკლებია. არ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ის, რაც ხდება აქ.

საქმე შემდეგშია: აქაური მომუშავე ქალები ძალიან გაჭირვებაში არიან. არ მიუღიათ ერთდროული დახმარება. არც ერთი და არც მეორე, რომელიც სხვა დაწესებულებებში უკვე დარიგებულია (სატარიფო პალატის დადგენილების თანახმათ) როდესაც მივიდენ გამგეობასთან ერთდროული დახმარების მოსათხოვათ, მათ განუცხადეს: ფული არ გვაქვს დაგვაცალეთო. მუშები დასთანხმდენ და წამოვიდენ ცარიელი სიტყვებნაჭამი. როგორც სჩვევიათ აქაურ ექსპლოატატორებს: მოტყუება მუშა ხალხისა. განვლო რამოდენიმე ხანმა; და გამგეობასთან მოვიდენ ქალაქის წარმომადგენლები და მოსთხოვეს კატეგორიულათ ერთდროული დახმარების მოცემა წინააღმდეგ შემთხვევაში ვიჩივლებთ უმაღლეს ორგანოშიო: იმათ უპასუხეს ფული არა გვაქვს და სადაც გინდათ წადით და იჩივლეთო.

რა თქმა უნდა ამ სიტყვებმა ქალების წარმომადგენლები ძალიან გააკვირა და წავიდენ კავშირში საჩივლელათ და თან წარადგინეს თხოვნა; კავშირმა სამართლიანათ სცნო მოთხოვნილება მუშა ქალებისა და დაადგინა: დაუყონებლივ მიეცეს ერთდროული დახმარება და მისცა წინადადება არტელის გამგეობას, რომ ერთ კვირაში მიეცათ ფული მუშა ქალებისთვის.

თუმცა ამის წინააღმდეგი ძალიან იყო კავშირის თავმჯდომარე, რომელიც ამბობდა არტელჩიკები ვერ შესძლებენ ქალების დაკმაყოფილებასაო.

რაშია საქმე? ვერ გამიგია, როდესაც კავშირის თავმჯდომარე ბ. თავდგირიძე იცავს არტელშჩიკებს: აქ ხომ არაფერია დამარხული?..

მე არ მესმის, რატომ ვერ შესძლებენ როდესაც ისინი ღებულობენ წუმწუმის კოლოფის ბანდეროლის შამოკვრაზე 50 კაპ. და მუშა ქალებს კი აძლევენ 8 კაპ. და ამავე დროს ერთ ყუთში არის წუმწუმა ჩაწყობილი 7200 კოლოფი, ზოგში კი ათი ათასი კოლოფი და ზედ მუშაობენ ოთხი, ხან ხუთი ქალი.

მე არაფერს ვიტყვი ამაზე; თვით მკითხველმა გამოიანგარიშოს, თუ რა რჩება ბატონ ხაზეინებს, და რას აძლევენ მუშა ქალებს!..

მოიტანეს კავშირიდან მოწერილობა და გადასცეს არტელის გამგეობას. გამგეობა წაკითხვიხთანავე გაბრაზდა და სთქვა ვნახოთო.

მეორე დღეს მოვიდა კავშირის თავმჯდომარე და მოილაპარაკეს ერთათ რამაც გამოიწვია დიდი დაბრკოლება.

გავიდა რამოდენიმე დღე; მუშა ქალები უცდიან ფულის მიღებას, მარა ვერ ეღირსენ ვერაფერს. ამან გამოიწვია ხელმეორეთ მიმართვა მუშა ქალებისა კავშირისადმი. კავშირის გამგეობამ იქონია მსჯელობა ამ საქმეზე, და ძალიან გულის წყრომით გამოიტანა ისევ ის დადგენილება, რაც იყო წინეთ მათ მიერ გადაწყვეტილი. ამან რათქმა უნდა, ძალიან გააბრაზა ზოგიერთი კავშირის წევრები, თუ რა მიზეზია, რომ ვერ გატარდა ცხოვრებაში მათი გადაწყვეტილება, და გაუგზავნეს გადაწყვეტილება არტელის გამგეობას.

გამგეობაზე ვერც მეორე გადაწყვეტილებამ იქონია ზედგავლენა რადგანაც გამგეობა; უძლურებას ხედავდა კავშირში.

კავშირის უძლურება შემდეგში მდგომარეობდა: ზოგი არტელშჩიკებს იცავდენ და ზოგი კი წინააღმდეგი იყვენ, და რა თქმა უნდა ეს უნდოდა არტელის გამგეობას და კიდევაც მიაღწია მიზანს...

კავშირის გადაწყვეტილება გადასცა გამგეობას თვით ქალების ამორჩეულმა დელეგატთაგანმა და მისცეს წინადადება: ხვალ ფული მოგვეცითო. რა თქმა უნდა მეორე დღეს მივიდენ მუშა ქალები ფულის მისაღებათ არტელის გამგეობასთან. გამგეობამ კი ფულის მიცემის მაგივრათ უთხრეს: „წადით, მოგვიტანეთ შრომის კომისრიდან რაიმე განკარგულება, გერგებათ თუ არა, და მერე მიიღებთო". ქალების ამორჩეული დელეგატები წავიდენ შრომის კომისართან და მოიტანეს მოწერილობა, რომელშიაც იყო ნათქვამი: დაუყონებლივ მიეცეს ერთდროული დახმარება, პირველი და მეორეც, მუშა ქალებსაც. მაშინ გამგეობამ მეტი ველარაფერი მოიგონა და უთხრა: ფული არ გვაქ და ცოტა გვადროვეთო.

წარმოიდგინეთ, იმდენი სულგრძელობა იქონიეს მუშა ქალებმა, რომ აცალეს გამგეობას და არ დაატანეს ძალა. ამასობაში იღათ საქმე გააკეთეს სადაც ჯერ იყო და უარი უთხრეს მუშა ქალებს. თქვენ ფული არ გერგებათ სატარიფო პალატის დადგენილების ძალითო.

ამან გამოიწვია ძალიან არევ დარევა მუშა ქალებში და მიმართეს განმეორებით შრომის კომისარს. საიდანაც საქმე გადაეცა მომრიგებელ კამერაში. ვნახოთ, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს მომრიგებელი კამერა.

გარეშე.

—:—

## ბულგარეთი.

ქალებთან დამოკიდებულებაში, კაპიტალიზმს აქვს ერთი მეტად დამახასიათებელი თვისება. როდესაც საკითხი დგება ადიმიანის შრომის ექსპლოატაციაზე, იმაზე თუ ვისგან და როგორ შეიძლება მეტი შრომის გამოწოვა და ზედმეტი ღირებულების მიღება, კაპიტალი არ არჩევს დედაკაცს და მამაკაცს; პირიქით ის ცდილობს რაც შეიძლება მეტად ისარგებლოს ქალების ჩამორჩენილობით, და როგორც ელემენტს, რომელიც ადვილად ემორჩილება ექსპლოატაციას, ის ფართოდ უხსნის თავის ქარხნების და კავშირების კარებს დედაკაცებს და კიდეც მეტად აფასებს დედაკაცის შრომას მამაკაცისაზე.

და ამავე დროს ბურჟუაზიამ, თავის რევოლიუციონერიაბის დროს წამოაყენა რა ლოზუნგი მოქალაქეთა „თანასწორობის და თავისუფლებისა" არ ჩათვალა საჭიროთ და შესაძლებლათ ჩაერიცხა ქალი მოქალაქეთა რიცხვში და გაევრცელებია მაზე თუ გინდ ფორმალური უფლებები მაინც.

და აი ბურჟუაზიის ბატონობის მთელ საუკუნის განმავლობაში და დღესაც ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ ამ დებულების სრული წინააღმდეგობა. ერთმხრივ იზიდავს რა ქალებს სამუშაოთ და ეწევა მათი შრომის ექსპლოატაციას მამაკაცებთან თანასწორათ, ბურჟაზია ერთ და იმავე დროს თვლის ქალებს დაბალ და უუფლებო არსებათ, აცილებს მას ყოველგვარ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას და იდეურათ ცდილობს ჩაეწეროს და გაუმაგრდეს ეს დებულება ხალხის გონებაში; ასე ამ გვარათ მას მოყავს უვარგისი არგუმენტი, როგორც მაგალითად სქესობრივი განსხვავება, ბუნებრივი სხვადასხვაობა, ხასიათი და სხვა.

მაგრამ ცხოვრების მოტყუილება შეუძლებელია. ჩააბა რა ქალები მრეწველობაში, ბურჟუაზიამ მით შექმნა ეს პირობები, რომელთაც გამოჰყავთ ხოლმე ქალები სწორი, და სრული განთავისუფლების გზაზე.

ასეთ მდგომარეობაშია ქალთა საკითხი ბულგარეთში.

ბულგარეთში ქალები არავითარ პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობენ. კიდევ მეტი, ოსმალეთის პოლიტიკურ მონობის გამო, რომლისაგან დიდი ხანი არ არის განთავისუფლდენ ბულგარელები და ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენილობის გამო, ბულგარელი ქალი უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე დასავლეთ ევროპის და მეფის დროინდელი რუსეთის ქალი. მაგრამ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად ბულგარეთის ქალთა მოძრაობაც ძლიერდება.

ბულგარეთის ბურჟუაზიას, რომელიც მოგებაში დიდი გაუმაძღრობას იჩენს, არ დაუყოვნებია ქალთა და ბავშვთა შრომის ექსპლოატაციას შესდგომოდა, რითაც ჩამორჩენილ პატრიარქალურ-ოჯახურ ფორმების საჩქარო დაშლას ხელი შეუწყო, რომელიც დასტოვა ოსმალეთის ბატონობამ. მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდის მრეწველობაში იყო დასაქმებული 200 ათასი ქალი. ომმა, რომლისთვისაც ბულგარეთის მთავრობამ დააყენა—შეაიარაღა მთელი ბულგარეთის მამაკაცები, აიძულა ბურჟუაზია გაფართოვებია ქალების შრომით სარგებლობა და განევითარებია მათი აუწერელი ექსპლოატაცია, რამაც, თავის მხრივ კიდევ უფრო გაუკაფა გზა ქალთა მოძრაობას.

ამ ჟამათ ბულგარეთში ქალთა მოძრაობა განსაკუთრებით კომუნისტური დროშის ქვეშ სწარმოებს. მას აქვს თავისი მოკლე ისტორია.

15 წლის წინათ ბულგარეთში აგიზგიდა ქალთა მოძრაობა დიდი გატაცებით. ბულგარელმა ქალებმა მიჰბაძეს დასავლეთ-ევროპის ფემინისტებს და სუფრაჟისტებს, იწყეს ქადაგება ქალთა სრულუფლებიანობის და გამოცემა თავისი ბეჭდვითი ორგანოის: „ქალთა ხმა". მაგრამ ამ მყუდრო და საფუფუნო სალონებიდან გამოსულმა „ხმამ", რომელიც ქალთა უუფლებლობას არა კლასიურ ურთიერთობაში ეძებდა, არამედ მამაკაცთა სიბოროტეში,—მდაბიო, დაჩაგრულ და გაყვლეფილ ქალთა ყურამდის ველარ მიაღწია. არც შეეძლო მიეღწია: მუშა-ქალები თავისი ეკონომიური მდგომარეობით შორს იდგენ ამ სალონების ქალებიდან, ძალიან შორს!.. მათ უფრო ეხერხებოდათ — ალლო უკარნახებდათ მათსავით გაყვლეფილ ქმრებთან და ძმებთან ხელი ხელ ჩაკიდებული კლასობრივი ბრძოლა ეწარმოებიათ, რათა ერთხელ და სამუდამოთ ძირ-ფესვიანათ მოესპოთ ის წრეები, რომლის გამო იჩაგრება მთელი მშრომელი კლასი, ქალებიც და მამაკაცებიც.

ეს ბურჟუაზიული ქალების ფემინისტური მოძრაობა, რომელიც მშრომელ ქალთა ფართე მასას არ ეყრდნობოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, სალონების ვიწრო წრეებში ჩაჰქნა, ჩაკვდა. მისი მომჰკნარი ნაფლეთები სხვა და სხვა ბურჟუაზიულ—პატრიოტულ ჯიშის პარტიებს მიეტმასნა.

ამ ჟამათ ბულგარეთში იმ მოდის ჯგუფთა «მოძრაობის" მაგიერ არსებობს და ვითარდება ნამდვილი მუშა-ქალთა მოძრაობა კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ. ამ ქალთა ორგანიზაციას 1919 წელს თავისი ორგანიზაციული კონფერენცია ჰქონდა. ახლა ამ ორგანიზაციაში შედის 60 ჯგუფი და 8,000 შეგნებული მუშა ქალი, რომლებიც შეგნებულათ იღწვიან ქალთა განთავისუფლებისათვის.

ყოველკვირეულათ ავრცელებენ თავისი ორგანოს—„თანასწორობა"-ს, რომელიც ფართოთ ვრცელდება. ამ ორგანიზაციის სათავეშია გამოცდილი და დამსახურებული მუშა ქალი ტინა კირკოვი, რომელიც 20 წელიწადზე მეტია მუშაობს პარტიაში და რომელიც ბულგარეთის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე ამა წლის ივლისში ბულკომპარტიის ც. კ. წევრათ იქნა არჩეული.

ცხოვრების მძიმე, აუტანელი პირობები ბულგარეთში, რომელიც დადგა მუშებისათვის მსოფლიო იმპერიალისტურ ომის შემდეგ—სიძვირე, პირველ საჭიროების საგნების სიმცირე, სიმშილი და სიცივე, რომლებიც უმალ და უფრო მკაცრათ ქალებს და ჩაგრავს და აწუხებს, მათ შორის უფრო ჩამორჩენილ წრეების შეგნებას სწრაფათ აღვიძებს, წვრთნის. ქალთა კომუნისტური ლიტერატურა, გამოცდილ კომუნისტ ქალების აგიტაცია და პროპაგანდა დიდ წარმატებით ედება-ეფინება უფრო და უფრო ფართეთ მუშა ქალთა წრეებს, უჩვენებს მათ ნამდვილს და ერთათ ერთ გზას განთავისუფლებისას, შეურიგებელ კლასობრივი ბრძოლის გზას, გზას—რევოლიუციით კომუნიზმში მიმყვანს, რომელიც (გზა)—მხოლოდ ერთათ-ერთი ქმნის ქალთა ნამდვილ განთავისუფლების და მათ ახალ ცხოვრების შენებაში მამაკაცებთან თანასწორი მონაწილეობის მიღების პირობებს.

„პრავდა", № 196. კ. ტელლალოვ

ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო! გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზ. «ახალი კომუნისტი».

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი